სახელოვნებო განათლება
Arts Education

ხელოვნური ინტელექტი სტუდენტთა შემოქმედებით პროცესში: შესაძლებლობები და გამოწვევები სახელოვნებო განათლებაში

Artificial Intelligence in Students' Creative Process: Opportunities and Challenges in Arts Education

ირინა ყურუა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტელ.: 577 23 26 23
ელფოსტა: irinakurua@gmail.com
Irina Kurua
Doctor of Social Sciences
Associate Professor
Batumi Art State University
Tel.: +995 577 23 26 23
E-mail: irinakurua@gmail.com

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია ხელოვნური ინტელექტის, განსაკუთრებით გენერაციული AI-ის გამოყენების შესაძლებლობები სტუდენტთა შემოქმედებით პროცესში და მასთან დაკავშირებული პედაგოგიური და ეთიკური გამოწვევები სახელოვნებო განათლებაში. კვლევის მიზანია გამოიკვეთოს, როგორ შეიძლება AI-ის ინტეგრირება სასწავლო და შემოქმედებით პრაქტიკაში ისე, რომ მან ხელი შეუწყოს იდეების განვითარებასა და ექსპერიმენტს, მაგრამ არ ჩაანაცვლოს სტუდენტის დამოუკიდებელი აზროვნება და მხატვრული გადაწყვეტა. ნაშრომი ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურის მიზნობრივ მიმოხილვას, შედარებით და კრიტიკულ ანალიზს; განხილულია AI-ის ფუნქციები იდეების გენერირების, ვიზუალიზაციის, პროტოტიპირების, შემოქმედებითი ალტერნატივების ძიებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ეტაპებზე. გაანალიზებულია მისი შესაძლო გავლენა შემოქმედებით ავტონომიაზე, ორიგინალურობასა და პროფესიული უნარების განვითარებაზე, აგრეთვე ავტორობის, ინტელექტუალური საკუთრების, აკადემიური კეთილსინდისიერების, ალგორითმული მიკერძოებისა და მონაცემთა დაცვის საკითხები. ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია პასუხისმგებლიანი ინტეგრირების პრინციპები: ტექნოლოგიის გამოყენება მკაფიო სასწავლო მიზნის შესაბამისად, AI-ის ჩართულობის გამჭვირვალობა, გენერირებული შედეგების კრიტიკული შეფასება და სტუდენტის ინდივიდუალური წვლილის დოკუმენტირება. ნაშრომი ასკვნის, რომ AI-ის საგანმანათლებლო ღირებულება განისაზღვრება არა მხოლოდ ტექნიკური შესაძლებლობებით, არამედ იმით, თუ რამდენად ინარჩუნებს სტუდენტი აქტიურ როლს შემოქმედებითი პროცესის მართვასა და საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამხმარე გამოყენებისა და უშუალო გენერაციული ჩართულობის განსხვავებას, რადგან სწორედ ეს განსხვავება განსაზღვრავს სტუდენტის პასუხისმგებლობასა და შემოქმედებით ავტონომიას. განხილული კვლევები აჩვენებს როგორც ინდივიდუალური იდეების განვითარების შესაძლებლობებს, ისე სემანტიკური მსგავსებისა და ტექნოლოგიაზე

დამოკიდებულების რისკებს. მიღებული ანალიზი საფუძვლად ედება პედაგოგიური ინტეგრირებისა და შეფასების რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიან გამოყენებასა და ეფექტიან ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.

Abstract

The article analyses the opportunities and challenges associated with the use of artificial intelligence, particularly generative AI, in students' creative process in arts education. It aims to identify how AI can be integrated into learning and creative practice to support idea development and experimentation without replacing students' independent thinking and artistic decisions. The study is based on a targeted review of scholarly literature and comparative and critical analysis; it does not include empirical data. The article examines AI functions in idea generation, visualisation, prototyping, the exploration of creative alternatives and technical support. It considers possible effects on creative autonomy, originality and professional skills, alongside questions of authorship, intellectual property, academic integrity, algorithmic bias and data protection. Based on the literature, the article outlines principles for responsible integration: using technology in line with clear learning objectives, disclosing the role of AI, critically evaluating generated outputs and documenting students' individual contributions. It argues that the educational value of AI depends not only on its technical capabilities but also on whether students retain an active role in directing the creative process and making final decisions. It also distinguishes between AI as a supporting resource and its direct contribution to the final creative product, since this difference shapes students' responsibility and autonomy. The analysis considers both creative opportunities and risks of convergence and over-reliance. The findings provide a basis for recommendations on pedagogical integration and assessment, aimed at promoting the responsible use and effective integration of artificial intelligence into the learning process.

საკვანძო სიტყვები / Keywords

ქართული: ხელოვნური ინტელექტი; გენერაციული AI; სახელოვნებო განათლება; სტუდენტთა შემოქმედებითი პროცესი; შემოქმედებითი ავტონომია; აკადემიური კეთილსინდისიერება.
English: Artificial Intelligence; Generative AI; Arts Education; Students' Creative Process; Creative Autonomy; Academic Integrity.

შესავალი

ხელოვნური ინტელექტის, განსაკუთრებით გენერაციული ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ და ხელმისაწვდომობამ შემოქმედებითი საქმიანობისა და განათლების გარემო ფუნდამენტურად შეცვალა. ტექსტის, გამოსახულების, მუსიკისა და სხვა ციფრული პროდუქტების გენერირება ადამიანის შემოქმედებითი როლის, ტექნოლოგიური თანამონაწილეობისა და ავტორობის საკითხების ხელახალ გადააზრებას ითხოვს. ეს ცვლილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელოვნებო განათლებაში, რადგან სწავლა მხოლოდ საბოლოო ნამუშევრის შექმნას არ გულისხმობს; იგი მოიცავს იდეის ფორმირებას, ექსპერიმენტს, მასალისა და ფორმის ძიებას, ესთეტიკურ შეფასებასა და ინდივიდუალური ხედვის განვითარებას.

AI სტუდენტს სთავაზობს იდეების ვიზუალიზაციის, ესკიზებისა და პროტოტიპების შექმნის, კომპოზიციური ვარიანტების გამოცდისა და შემოქმედებითი პროცესის ცალკეული ეტაპების გამარტივების შესაძლებლობას. ამავე დროს, მისი მზარდი ჩართულობა დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი ავტონომიის, ინდივიდუალური სტილისა და ნამუშევრის ავტორობის შესახებ კითხვებს აჩენს. ამიტომ არსებითია არა მხოლოდ ის, თუ რა შეუძლია ტექნოლოგიას, არამედ ისიც, რა ფუნქციას ასრულებს იგი სტუდენტის შემოქმედებით პროცესში.

საკითხის კონცეპტუალურ გააზრებას ხელს უწყობს UNESCO-ს მიერ შემუშავებული AI კომპეტენციების ჩარჩო მოსწავლეებისთვის, რომელიც ხაზს უსვამს ადამიანზე ორიენტირებულ აზროვნებას, AI-ის ეთიკას, ტექნიკასა და გამოყენებას, აგრეთვე - სისტემების დიზაინს, კომპეტენციების განვითარება კი გაგების, გამოყენებისა და შექმნის

დონეებად არის წარმოდგენილი (Miao et al., 2024). შემოქმედებით კონტექსტებში გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების 64 კვლევის სისტემური მიმოხილვა აღწერს ტექნოლოგიის გავლენას შემოქმედებით პროცესებსა და შედეგებზე და მიუთითებს გრძელვადიანი და ეთიკური შედეგების შემდგომი შესწავლის საჭიროებაზე (Heigl, 2026). უშუალოდ სახელოვნებო განათლების მიმოხილვები ასევე აჩვენებს, რომ AI-ის ინტეგრირება მოითხოვს მიზანმიმართულ პედაგოგიურ დიზაინს, კრიტიკულ ურთიერთქმედებასა და მკაფიო ეთიკურ ჩარჩოს (Abad Gómez & Valverde Martínez, 2026; Jiang et al., 2026).

Jiang-ისა და თანაავტორების (2026) მიმოხილვა აერთიანებს 19 ემპირიულ კვლევას, თუმცა ავტორები ხაზს უსვამენ, რომ სფეროში არსებული მტკიცებულებები ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და შედეგების განზოგადებას სიფრთხილე სჭირდება. ეს გარემოება განაპირობებს წინამდებარე ნაშრომის თეორიულ-ანალიტიკურ ხასიათს და საჭიროებას, რომ სხვადასხვა დისციპლინის მიგნებები მათი კვლევითი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასდეს.

კვლევის მიზანია სახელოვნებო განათლებაში სტუდენტთა შემოქმედებით პროცესში AI-ის გამოყენების შესაძლებლობებისა და გამოწვევების თეორიულ-ანალიტიკური შესწავლა. **ამოცანებია:** AI-ის გამოყენების ძირითადი ფუნქციების გამოვლენა, მისი როლის გააზრება იდეების გენერირებისა და ნამუშევრის შექმნის ეტაპებზე, გავლენის შეფასება შემოქმედებით ავტონომიასა და პროფესიულ უნარებზე, ავტორობისა და კეთილსინდისიერების საკითხების განხილვა, პასუხისმგებლიანი პედაგოგიური ინტეგრირების პრინციპების გამოკვეთა. **კვლევა პასუხობს კითხვებს:** რა ფუნქციებს ასრულებს AI შემოქმედებით პროცესში, რა შესაძლებლობებსა და რისკებს ქმნის სტუდენტის შემოქმედებითი განვითარებისთვის და რა ეთიკური და პედაგოგიური პრინციპებით უნდა განისაზღვროს მისი გამოყენება?

კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, AI ხელს უწყობს სტუდენტის შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას მაშინ, როდესაც იგი გამოიყენება დამხმარე ინსტრუმენტად და არა დამოუკიდებელი აზროვნებისა და მხატვრული გადაწყვეტილებების შემცვლელად. ნაშრომის **სამეცნიერო სიახლე** მდგომარეობს ანალიტიკური ჩარჩოს შეთავაზებაში, რომელიც განასხვავებს AI-ის გამოყენებას შემოქმედებითი ძიებისა და ტექნიკური მხარდაჭერისთვის მისი უშუალო გენერაციული ჩართულობისგან და ამ განსხვავებას უკავშირებს ავტონომიას, ავტორობასა და შეფასებას. პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდება სახელოვნებო პროგრამებში დავალებების დაგეგმვისა და სტუდენტთა ნამუშევრების შეფასების პრინციპებს.

კვლევის მეთოდები

კვლევა ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურის მიზნობრივ მიმოხილვას, შედარებით და კრიტიკულ ანალიზს. გაანალიზებულია გენერაციული ხელოვნური ინტელექტის, შემოქმედებითი პროცესისა და სახელოვნებო განათლების ურთიერთმიმართების შესახებ სამეცნიერო პუბლიკაციები და საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტები. წყაროები შერჩეულია თემასთან პირდაპირი კავშირისა და აკადემიური სანდოობის მიხედვით; უპირატესობა მიენიჭა რეცენზირებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ დოკუმენტებს. ანალიზი მოიცავს კვლევების მიზნების, მეთოდების, კონტექსტებისა და მიგნებების შედარებას. ნაშრომი არ მოიცავს ემპირიულ მონაცემებს; შესაბამისად, ჰიპოთეზა ფასდება თეორიულ-ანალიტიკურად და არა ემპირიული შემოწმებით.

შედეგები და მსჯელობა

ხელოვნური ინტელექტის ფუნქციები სტუდენტთა შემოქმედებით პროცესში

გენერაციული ხელოვნური ინტელექტი, სახელოვნებო განათლებაში, სტუდენტს სთავაზობს შემოქმედებითი პროცესის სხვადასხვა ეტაპზე გამოსაყენებელ რესურსებს. მისი ფუნქციები შეიძლება დაჯგუფდეს ოთხ მიმართულებად: იდეების გენერირება და კონცეპტუალური ძიება, ვიზუალიზაცია და პროტოტიპირება, შემოქმედებითი ალტერნატივების შექმნა და შედარება, ტექნიკური და საკომუნიკაციო მხარდაჭერა. ეს ფუნქციები ურთიერთდაკავშირებულია და მათი მნიშვნელობა კონკრეტულ სასწავლო ამოცანაზეა დამოკიდებული.

იდეების გენერირებისას AI შეიძლება დაეხმაროს სტუდენტს თემის განსხვავებული ინტერპრეტაციების, სიუჟეტური ხაზების, ვიზუალური გადაწყვეტებისა და კომპოზიციური ვარიანტების მოძიებაში. მიღებული შეთავაზებები შემოქმედებითი მუშაობის საწყისი მასალაა; მათი შერჩევა, გადამუშავება ან უარყოფა სტუდენტის გადაწყვეტილებაა. ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის სწავლებისას ტექსტიდან გამოსახულების გენერირება შესაძლებელს ხდის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იდეის ვიზუალიზაციასა და ფერის, ფორმისა თუ სტილის ვარიანტების გამოცდას. თუმცა გენერირებული გამოსახულება არ უდრის სტუდენტის მხატვრული კომპეტენციის ან პრაქტიკული უნარის განვითარებას; იგი შეიძლება იყოს შუალედური რესურსი, რომლის საფუძველზეც სტუდენტი საკუთარ ნამუშევარს ქმნის ან ცვლის.

ამ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს წარმოაჩენს Ansone-ისა და თანაავტორების (2025) კვლევა, რომელშიც ბაკალავრიატის სახელოვნებო პროგრამის ათმა სტუდენტმა კომპოზიციური დავალება როგორც ტრადიციული მეთოდებით, ისე DALL-E-ის(ხელოვნური ინტელექტის მოდელი, რომელიც ტექსტური აღწერის საფუძველზე ქმნის ციფრულ გამოსახულებებს) გამოყენებით შეასრულა. სტუდენტები AI-ს განსაკუთრებით გამოსადეგად მიიჩნევდნენ საწყისი იდეებისა და კონცეფციის განვითარებისთვის, თუმცა უჭირდათ მხატვრული ჩანაფიქრის ზუსტ ტექსტურ ინსტრუქციებად გარდაქმნა და სასურველი კომპოზიციური დეტალების მიღება. შედეგები მიუთითებს, რომ AI შეიძლება იყოს შემოქმედებითი ძიების დამხმარე რესურსი, მაგრამ ვერ ანაცვლებს მხატვრულ განსჯასა და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს.

AI ასევე იძლევა ერთი იდეის განსხვავებული ვერსიების შედარების, არსებული მასალის გარდაქმნისა და ტექნიკური პროცესის გამარტივების შესაძლებლობას. მუსიკალურ განათლებაში იგი შეიძლება გამოიყენებოდეს კომპოზიციური ვარიანტების ძიებისა და აუდიომასალის დამუშავებისთვის, თუმცა ეს არ ცვლის სმენით აღქმას, მუსიკალურ ცოდნასა და შესრულებით უნარებს. ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ტექნოლოგიის მიერ შექმნილი პროდუქტი არ იქცეს სასწავლო მიზნის შემცვლელად.

ამ ფუნქციების განხილვისას არსებითია განვასხვაოთ AI-ის დამხმარე და უშუალო გენერაციული ჩართულობა. პირველ შემთხვევაში სტუდენტი თავად განსაზღვრავს ჩანაფიქრს და იყენებს ტექნოლოგიას ძიების, შედარებისა თუ ტექნიკური მხარდაჭერისთვის; მეორე შემთხვევაში კი სისტემა ქმნის საბოლოო პროდუქტის მნიშვნელოვან გამომსახველობით ნაწილს. ეს განსხვავება გავლენას ახდენს არა მხოლოდ ავტორობის საკითხზე, არამედ იმაზეც, თუ რა უნარის განვითარებას ემსახურება კონკრეტული სასწავლო დავალება.

AI-ის გავლენა სტუდენტის შემოქმედებით ავტონომიასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე

AI-ის გავლენა სტუდენტის შემოქმედებით განვითარებაზე ერთმნიშვნელოვანი არ არის. ერთი მხრივ, გენერირებული იდეები და ალტერნატივები აფართოებს ძიების არეალს და ეხმარება სტუდენტს საწყისი ჩანაფიქრის გადახედვაში; მეორე მხრივ, შემოქმედებითი

ავტონომია ამოცანის დამოუკიდებლად დასახვას, საკუთარი ჩანაფიქრის ჩამოყალიბებას, ალტერნატივების შეფასებასა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს. სწორედ ამ უნარების შენარჩუნებაა სახელოვნებო განათლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა.

Habib-ისა და თანაავტორების (2024) კვლევაში, რომელშიც ბაკალავრიატის 100 სტუდენტი მონაწილეობდა, ChatGPT-3-ის გამოყენებისას გაიზარდა დივერგენტული აზროვნების შეფასებული მაჩვენებლები - იდეების ორიგინალურობა, მოქნილობა, რაოდენობა და დამუშავება. ამასთან, მონაწილეთა რეფლექსიებში გამოიკვეთა შეშფოთება, რომ ტექნოლოგიის ზედმეტმა გამოყენებამ შესაძლოა შეასუსტოს საკუთარი შემოქმედებითი აზროვნებისადმი თავდაჯერებულობა. ეს მიგნება მიუთითებს, რომ AI-ის სარგებელი დამოკიდებულია იმაზე, ინარჩუნებს თუ არა სტუდენტი აქტიურ შემოქმედებით მონაწილეობას.

ორიგინალურობა მხოლოდ უჩვეულო ფორმას არ გულისხმობს; იგი უკავშირდება პირად გამოცდილებას, ესთეტიკურ აღქმას, შემოქმედებით განზრახვასა და ინდივიდუალურ არჩევანს. Doshi-სა და Hauser-ის (2024) ექსპერიმენტში AI-ის იდეებით მხარდაჭერილი მოკლე მოთხრობები ინდივიდუალურად უფრო კრეატიულად შეფასდა, თუმცა ერთმანეთთან უფრო მსგავსი აღმოჩნდა. კვლევა ლიტერატურულ შემოქმედებას ეხება და არა ვიზუალურ ხელოვნებას, ამიტომ მისი შედეგები პირდაპირ ვერ განზოგადდება ყველა სახელოვნებო დისციპლინაზე; მიუხედავად ამისა, იგი აჩვენებს ინდივიდუალური შედეგის გაუმჯობესებასა და კოლექტიური მრავალფეროვნების შესაძლო დაძაბულობას.

დიზაინისა და ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მონაწილეობით ჩატარებულმა კვლევამ (Baltà-Salvador et al., 2026), რომელშიც 728 იდეა გაანალიზდა, აჩვენა, რომ AI-ის გამოყენებამ არ შეამცირა იდეების რაოდენობა, მოქნილობა და ორიგინალურობა და არ გამოიწვია თემატური ერთგვაროვნება. ამასთან, AI-ის დახმარებით შექმნილ იდეებში სემანტიკური განსხვავება ნაკლები იყო, ხოლო ტექსტური დამუშავება - შედარებით ნაკლებად განვითარებული. ეს შედეგი ხაზს უსვამს იმას, რომ შემოქმედებითი შედეგის რაოდენობრივი მაჩვენებლები სრულად ვერ ასახავს იდეების ინდივიდუალობასა და დამუშავების სიღრმეს.

შესაბამისად, AI-ზე გადაჭარბებულმა დამოკიდებულებამ შესაძლოა შეასუსტოს სტუდენტის უნარი - დამოუკიდებლად დასახოს ამოცანა, განავითაროს იდეა, იმუშაოს მასალასთან და დაასაბუთოს საკუთარი არჩევანი. ტექნოლოგიური მხარდაჭერა სასარგებლოა მაშინ, როდესაც იგი ავსებს და არა ანაცვლებს პრაქტიკულ მუშაობას, დაკვირვებას, კომპოზიციურ აზროვნებასა და ესთეტიკურ განსჯას. ლიტერატურის ანალიზი ამყარებს ჰიპოთეზის ძირითად დებულებას: AI-ის საგანმანათლებლო ეფექტიანობა დამოკიდებულია სტუდენტის აქტიური როლის შენარჩუნებაზე.

ამ კვლევების ერთმანეთთან შედარება აჩვენებს, რომ AI-ის გავლენა დამოკიდებულია დავალების ტიპზე, მონაწილეთა გამოცდილებასა და გამოყენების ფორმაზე. ტექსტური შემოქმედების, დიზაინისა და სახელოვნებო პროგრამების შედეგები ერთმანეთის ანალოგიური არ არის. ამიტომ მათი მნიშვნელობა უნდა განვიხილოთ არა როგორც უნივერსალური კანონზომიერება, არამედ როგორც მტკიცებულება იმისა, რომ პედაგოგიური დიზაინი და სტუდენტის აქტიური მონაწილეობა გადამწყვეტ პირობებად რჩება.

ეთიკური პასუხისმგებლობა და ხელოვნური ინტელექტის პედაგოგიური ინტეგრირების პრინციპები

გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სახელოვნებო განათლებაში ავტორობის, ინტელექტუალური საკუთრებისა და აკადემიური პასუხისმგებლობის

საკითხებს წარმოშობს. თუ სისტემა ქმნის ნამუშევრის მნიშვნელოვან ვიზუალურ, ტექსტურ ან მუსიკალურ ნაწილს, სტუდენტის ავტორობის შეფასება ვერ დაეფუძნება მხოლოდ იმას, რომ მან ინსტრუმენტი შეარჩია ან ტექსტური ინსტრუქცია ჩამოაყალიბა. გასათვალისწინებელია მისი შემოქმედებითი წვლილი: საწყისი ჩანაფიქრი, მასალის შერჩევა, მიღებული შედეგის გადამუშავება და საბოლოო ფორმის განსაზღვრა.

აშშ-ის საავტორო უფლებების ოფისის 2025 წლის ანგარიშის მიხედვით, AI-ის გამოყენებით მიღებული შედეგი აშშ-ის კანონმდებლობის ფარგლებში შეიძლება იყოს დაცული მაშინ, როდესაც მასში ადამიანის საკმარისი შემოქმედებითი წვლილი იკვეთება; მხოლოდ ტექსტური ინსტრუქციის მიწოდება თავისთავად საკმარისი არ არის. ეს დასკვნა საქართველოს სამართლებრივი რეგულირების განმარტებად არ უნდა მივიჩნიოთ, თუმცა იგი წარმოაჩენს ავტორობის შეფასების მნიშვნელოვან კრიტერიუმს - ადამიანის რეალურ შემოქმედებით მონაწილეობას (U.S. Copyright Office, 2025). WIPO-ს (2024) გზამკვლევიც ყურადღებას ამახვილებს GenAI-ის გამოყენებასთან დაკავშირებულ ინტელექტუალური საკუთრების რისკებზე, გამოყენებული მასალის წარმომავლობასა და შესაბამისი დაცვის მექანიზმების საჭიროებაზე.

აკადემიური კეთილსინდისიერება მხოლოდ პლაგიატის თავიდან აცილებას არ გულისხმობს. თუ სტუდენტი AI-ის მიერ გენერირებულ ან არსებითად გარდაქმნილ პროდუქტს საკუთარი წვლილის განმარტების გარეშე წარადგენს, რთულდება მისი ცოდნისა და პრაქტიკული კომპეტენციების შეფასება. ამიტომ სტუდენტმა უნდა მიუთითოს გამოყენებული ინსტრუმენტი, მისი დანიშნულება შემოქმედებით პროცესში და მიღებული შედეგის გადამუშავების ფორმა. გამჭვირვალობა არ უნდა იქცეს AI-ის გამოყენების დასჯის მექანიზმად; მისი მიზანია პროცესის დოკუმენტირება და სტუდენტის ინდივიდუალური წვლილის წარმოჩენა.

ეთიკური გამოწვევებია ალგორითმული მიკერძოება, კულტურული მრავალფეროვნების არასათანადო ასახვა და მონაცემთა დაცვა. გენერირებული მასალა დამოკიდებულია სისტემის სასწავლო მონაცემებსა და ტექნოლოგიურ მახასიათებლებზე, რის გამოც შესაძლოა ზოგი კულტურული თუ ესთეტიკური ხედვა სხვებზე მეტად იყოს წარმოდგენილი. UNESCO-ს AI-ის ეთიკის რეკომენდაცია გამოყოფს სამართლიანობას, არადისკრიმინაციულობას, გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას, ადამიანის ზედამხედველობას, პირადი მონაცემების დაცვასა და კულტურულ მრავალფეროვნებას (UNESCO, 2021). სახელოვნებო განათლებაში ეს პრინციპები მოითხოვს გენერირებული მასალის კრიტიკულ შეფასებას, სტერეოტიპების ამოცნობასა და მომხმარებლის მიერ ატვირთული პირადი ან შემოქმედებითი მასალის უსაფრთხო გამოყენებას.

პედაგოგიური ინტეგრირება უნდა განისაზღვროს კონკრეტული სასწავლო მიზნის მიხედვით. ერთ დავალებაში AI შეიძლება დაშვებული იყოს იდეების საწყისი ძიებისთვის, მეორეში - მხოლოდ ტექნიკური ექსპერიმენტისთვის, ხოლო ტრადიციული ტექნიკის დაუფლებაზე ორიენტირებულ დავალებაში მისი გამოყენება შეიზღუდოს. ქანდაკების სწავლებისა და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა მიუთითებს, რომ AI ხელს უწყობს იდეებისა და კონცეფციების განვითარებას, თუმცა არაკრიტიკულმა გამოყენებამ შესაძლოა გააძლიეროს ზედაპირული სწავლა და შეასუსტოს პრაქტიკული, მასალასთან დაკავშირებული მუშაობა (Alrashidi & Abdulmajid, 2025).

შეფასებისას მიზანშეწონილია საბოლოო ნამუშევართან ერთად განიხილებოდეს მისი შექმნის პროცესიც: საწყისი ჩანაფიქრი, ესკიზები, შუალედური ვერსიები, გამოყენებული ინსტრუმენტები, მიღებული შედეგების შერჩევა და საბოლოო გადაწყვეტილებების დასაბუთება. ამგვარი მიდგომა პედაგოგს საშუალებას აძლევს, შეაფასოს არა მხოლოდ პროდუქტი, არამედ სტუდენტის ცოდნა, პროფესიული უნარები და ინდივიდუალური წვლილი. პასუხისმგებლიანი ინტეგრირება, შესაბამისად, ეფუძნება გამჭვირვალობას,

ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემას, კრიტიკულ შეფასებას, მონაცემთა დაცვას, სასწავლო მიზანთან შესაბამისობასა და პროცესზე ორიენტირებულ შეფასებას.

დაწესებულებამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ტექნოლოგიაზე ხელმისაწვდომობის უთანასწორობა: თუ დავალების შესრულება ფასიან პლატფორმაზეა დამოკიდებული, სტუდენტებს თანაბარი პირობები არ ექნებათ. ამიტომ AI-ის გამოყენების მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს სტუდენტთა ტექნიკურ შესაძლებლობებს, ხოლო პირადი მონაცემებისა და დაუმთავრებელი ნამუშევრების ატვირთვამდე მათ უნდა იცოდნენ კონკრეტული სერვისის მონაცემთა დამუშავების პირობები.

დასკვნა

ლიტერატურისა და საერთაშორისო რეკომენდაციების ანალიზმა აჩვენა, რომ AI აფართოებს სტუდენტთა შემოქმედებითი ძიებისა და ექსპერიმენტის შესაძლებლობებს, თუმცა მისი საგანმანათლებლო ეფექტიანობა გამოყენების მიზანსა და ფორმაზეა დამოკიდებული. იგი შეიძლება იყოს იდეების გენერირების, ვიზუალიზაციისა და ტექნიკური მხარდაჭერის რესურსი, მაგრამ ვერ ჩაანაცვლებს სტუდენტის დამოუკიდებელ აზროვნებასა და მხატვრულ განსჯას.

ანალიზი თეორიულად ამყარებს ჰიპოთეზას: AI ხელს უწყობს შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას მაშინ, როდესაც სტუდენტი ინარჩუნებს აქტიურ როლს იდეის ფორმირებაში, ალტერნატივების შერჩევასა და საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებაში. ამისათვის აუცილებელია გამჭვირვალობა, ინტელექტუალური საკუთრებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა და პროცესზე ორიენტირებული შეფასება. სახელოვნებო განათლებაში AI-ის ღირებულება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ემსახურება იგი სტუდენტის შემოქმედებითი კომპეტენციების განვითარებას. ტექნოლოგია არ უნდა იქცეს ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის შემცვლელად. ამასთან, პასუხისმგებლიანი ინტეგრირება მოითხოვს აკადემიური კეთილსინდისიერების, ავტორობისა და ინტელექტუალური საკუთრების პრინციპების დაცვას, AI-ის გამოყენების გამჭვირვალობასა და მიღებული შედეგების კრიტიკულ შეფასებას.

ამრიგად, სახელოვნებო განათლებაში ხელოვნური ინტელექტის პედაგოგიური ღირებულება განისაზღვრება არა მხოლოდ ტექნოლოგიური შესაძლებლობებით, არამედ იმით, თუ რამდენად უწყობს იგი ხელს სტუდენტის შემოქმედებითი კომპეტენციების განვითარებას და ამავდროულად ინარჩუნებს მის აქტიურ როლს შემოქმედებით პროცესში. ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს პედაგოგიურ მიდგომას, რომელიც ტექნოლოგიურ სიახლეებს ადამიანის შემოქმედებით თავისუფლებასთან, პროფესიულ განვითარებასა და ეთიკურ პასუხისმგებლობასთან შეათავსებს.

გამოყენებული ლიტერატურა
References:

Abad Gómez, R., & Valverde Martínez, C. (2026). Generative artificial intelligence in art education: Pedagogical and ethical implications in higher education. Revista Complutense de Educación, 37(3), 483–502. https://doi.org/10.5209/rced.103892

Alrashidi, N., & Abdulmajid, M. (2025). Integrating ChatGPT in sculpture education: Balancing creativity, pedagogy, and ethical challenges. Social Sciences & Humanities Open, 12, Article 102193. https://doi.org/10.1016/j.ssaho.2025.102193

Ansone, A., Zālīte-Supe, Z., & Daniela, L. (2025). Generative artificial intelligence as a catalyst for change in higher education art study programs. Computers, 14(4), Article 154. https://doi.org/10.3390/computers14040154

Baltà-Salvador, R., Brasó-Vives, E., & Peña, M. (2026). Evaluating AI-assisted creative ideation: A crossover study in higher education. Thinking Skills and Creativity, 59, Article 101958. https://doi.org/10.1016/j.tsc.2025.101958

Doshi, A. R., & Hauser, O. P. (2024). Generative AI enhances individual creativity but reduces the collective diversity of novel content. Science Advances, 10(28), Article eadn5290. https://doi.org/10.1126/sciadv.adn5290

Habib, S., Vogel, T., Anli, X., & Thorne, E. (2024). How does generative artificial intelligence impact student creativity? Journal of Creativity, 34(1), Article 100072. https://doi.org/10.1016/j.yjoc.2023.100072

Heigl, R. (2026). Generative artificial intelligence in creative contexts: A systematic review and future research agenda. Management Review Quarterly, 76, 955–992. https://doi.org/10.1007/s11301-025-00494-9

Jiang, Y., Fan, Y., & Liu, Z. (2026). Generative AI in art education: A systematic review of research trends, tool applications, and outcomes (2019–2025). Education Sciences, 16(1), Article 47. https://doi.org/10.3390/educsci16010047

Miao, F., Shiohira, K., & Lao, N. (2024). AI competency framework for students. UNESCO. https://www.unesco.org/en/articles/ai-competency-framework-students

UNESCO. (2022). Recommendation on the ethics of artificial intelligence. https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000381137

U.S. Copyright Office. (2025). Copyright and artificial intelligence, Part 2: Copyrightability. https://www.copyright.gov/ai/Copyright-and-Artificial-Intelligence-Part-2-Copyrightability-Report.pdf